# ცნობის ფურცელი

№ 2604 ორშაბათი, 6 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2604

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოდ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ)

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რეევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. ტელეფონი № 679. (0—158)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჟისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ლიტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—17)

კბილის ექიმი
კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—5)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის" გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—6)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—5)

პანსიონი
ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—31)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
ვ. ა. ზილერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
მან. ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
დ. მ. მოსინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
ბ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ორი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

## ს ი ა

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1904 წ. აგვისტოს განმავლობაში.

| №№ | სახელი და გვარი | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 196 | ივანე პ. მიქელაძე | 6 | — |
| 197 | დიმიტრი მ. მელაძე | 6 | — |
| 198 | ანდრონიკა რ. მელაძე | 6 | — |
| 199 | იოსებ სპ. გუნცაძე | 6 | — |
| 200 | სილიბისტრო ჩიქოვანი | 6 | — |
| 201 | მელიტონ ო ტყეშელაშვილი | 6 | — |
| 202 | აფასონ ა. კოპახიძე | 6 | — |
| 203 | კოსტანტინე ტ. ლორთქიფანიძე | 6 | — |
| 204 | სერაფიონ თ. რაზმაძე | 3 | — |
| 205 | გრიგოლ გრ. მაღალაშვილი | 6 | — |
| 206 | სერგეი კ. ჭიჭინაძე | 6 | — |
| 207 | ალექსანდრე ყიფშიძე | 6 | — |
| 208 | ივანე ივან. ლაზარიშვილი | 6 | — |
|  |  | 75 | — |
|  | სულ წლის განმავლობაში | 1485 | — |

## ახალი ამბავი

◆ 26 აგვისტოს მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა მთავარ-მართებლის საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც **სამართალში უნდა იქმნას მიცემული** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად და დამფასებელ კომისიის წევრად ნამყოფი (1897 წელს) თავადი ნაკოლოოზ ზაქარიაძე თუმანოვი. თავ. თუმანოვს ისა ჰბრალდება, რომ სხვებთან ერთად (ესენიც პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი) მან დამფასებელ კომისიისა და ქალაქის გამგეობის საბუთის ქაღალდებში შეასწორა ზოგიერთი ადგილები, ჩაუმატა და წაშალა იმ აზრით, რომ შეძლება მიეცა თავის ნათესავებისთვის დაესაკუთრებინათ სხვის ადგილები, სახელდობრ—არტემ კარტაშევისა, მარიამ და ეფემია ხეჩუმოვებისა და ქალაქ ტფილისის ადგილები. თავ. თუმანოვი ხმოსნად და დამფასებელ კომისიის წევრად იყო და საბუთის ქაღალდები ხელთა ჰქონდა. ამ საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს.

◆ 4 სექტემბერს მოხდა სხდომა ტფილისის მოქალაქეთა განსაკუთრებულ კომისიისა, რომელიც არჩეულ იქმნა მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზე განზრახულ **სასწავლებლის ტიპის შესამუშავებლად**. სხდომაზე ზოგი საჭიროდ სცნობდა სატეხნიკო სამკლასიან სასწავლებლის დაარსებას, ზოგი ოთხ-კლასიანისას და სხვას. წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი არ იყო პრინციპიალურად ამგვარ სასწავლებლისა, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნდა განხორციელება, რადგან დიდი ფული დასჭირდება. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ჯერ-ჯერობით დაარსდეს მოსამზადებელ კლასებიანი სასწავლებელი, რომლის შენახვასაც ყოველწლობით 5000 მანეთზე მეტი არ დასჭირდებაო. თათბირის შემდეგ კომისიამ საჭიროდ სცნო დაარსება 1 კლასიან სასწავლებლისა ორის განყოფილებით და ორის წლის კურსით. ეს სასწავლებელი ისეთი უნდა იყოს, რომ იქ სწავლა დამთავრებულ ბავშვებს შეეძლოთ საკონკურსო ეგზამენი დაიჭირონ და ადვილად შევიდნენ საშუალო სასწავლებლებში. შეძლებულნი ამ სასწავლებელში მცირე ხარჯს გაიღებენ, ხოლო ღარიბები უსასყიდლოდ იქმნებიან. დასასრულ, კომისიამ შესაძლებლად სცნო გაეწროთ ყოველ წლობით მოქალაქეთ 5000 მან. სასწავლებლის შესანახად.

> **რედაქციისაგან.**
>
> ვისაც „ცნობის ფურცლის" და „მოამბის" წლიური ფასი სრულათ არა აქვს გადახდილი, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა, რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.
>
> „ცნობის ფურცელი" 1-ლ ენკენისთვიდან წლის დამლევამდის ღირს 2 მან. 60 კ.
>
> ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

◆ გუშინ, 5 სექტემბერს, 12 საათზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ საბჭოს ხმოსანთა თანადასწრებით დაათვალიერა ვერის ხიდის ზემოდ ქალაქის ის ადგილი, რომელსაც ბავშვთათვის მზრუნველი საზოგადოება თხოულობს **საბავშვო ბაღის და სავარჯიშოს** გასამართავად.

◆ 2 და 3 სექტემბერს ბაქოში **ხოლერით არავინ გამხდარა ავად.**

◆ როგორც ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის ცნობებიდანა სჩანს, სხვა და სხვა წყაროებიდან გამგეობის კასაში შესულა სულ 9600 მან.

◆ ტფილისის განაპირა უბნებში მცხოვრებთ ეზოებში ჭები აქვთ და იქიდან ხმარობენ წყალს თავისი სხვა-და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. საქიმიო ლაბორატორიამ ამ რამდენისამე დღის წინად სთხოვა ქალაქის გამგეობას, მოიწვიოს სპეციალისტი ქალაქის ნიადაგ-ქვეშ წყლების ქიმიურად და ბაქტერიოლოგიურად გამოსაკვლევად. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გადასცეს ეს მოხსენება სასანიტარო სამკურნალო საბჭოს თვისის მოსაზრების წარსადგენად.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

**ს. ფაჩევი** (ზემო იმერეთი.). ჩვენ სოფელში სიმინდი ძლიერ გაძვირდა. ხეირიანი მოსავალი აქ არასოდეს არ იცოდა, მაგრამ წრეულს სულ წავიდა ჩვენი საქმე. ბათმანი სიმინდი გარდაიქცა 80 კ.—1 მ. უბედურებაც ის არის, რომ საყიდლადაც ვერ შოულობენ. შიმშილისაგან შევიწროვებულმა ხალხმა დაიწყო ქურდობა. 26 აგვისტოს ღამე გატეხეს ი. ცერცვაძის სახარაზო და წაიღეს წაღები. X.

---

**გულეიკარის საზოგადოება** (სამეგრელო). ყაჩაღობა და ძალმომრეობა გახშირდა. 26 აგვისტოს ბოროტ-მოქმედთა ბრბო შეიჭრა გლეხის ლუკა ჩაგანავას სახლში. ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაადგა მწოლიარეს ბერდანით და მოსთხოვა ფული. სახლის პატრონმაც დაუთვლა 130 მანეთი. რა მიიღეს ფული, მოჰყვნენ ხაბაკების ხეკას, წაიღეს: უნაგრები, ხაგებ-სახურავი, ტანთსაცმელი, ბეჭდები, ვერცხლის კოვზები 12, სამოვარი, ჭიქები, თეფშები, ერთის სიტყვით, არა დაუტოვებიათ-რა. როგორც სახლის პატრონი ანგარიშობს, იმ ღამის დანაკარგი 1000 მანეთამდეა. 23 აგვისტოს ღამე ვიღაც ქურდ-ბაცაცებმა შეამტვრიეს დ—ას სახლის ფანჯრები სოფელ ტოლებს (ამავე საზოგადოებისა). ქურდ-ბაცაცებს უნდოდათ სახლში შესვლა, მაგრამ დროზე გაუგეს და მეზობლების დახმარებით იხსნეს თავი განსაცდელისაგან. 22 აგვისტოს ბოროტ-მოქმედთა ბრბო, თორმეტ კაცისაგან შემდგარი, თავს დაესხა დელეჟანს, საჯავახოდან მომავალს სოფელ ჭოგნარში (გურია, აბაშის საზოგადოება). გამოაცალეს მგზავრეს ფული, თუ კი ვისმეს რამე ჰქონდა. ამ მგზავრთა შორის იჯდა ერთი თათარი, ჩოხატაურს მიმავალი. ამ თათარს ჰქონია იღლიაში ამოკერებული 500 მანეთი და ცალკე სახარჯოდ კიდევ 15 მანეთი. რა ნახა ავაზაკები, შიშისაგან გრძნობა დაკარგა. ავაზაკებმა შეამჩნიეს ეს ამოკერებული ფული და წაართვეს. გონს რო მოვიდა და რა არ ნახა ავაზაკები, იკრა იღლიაში ხელი, მაგრამ სადღა იყო ფული.

ა. გ.

---

**სოფ. კორბოული** (ზემო იმერეთი). კორბოულის საზოგადოებაში შემდეგი სოფლებია: კორბოული (ოთხი სამრევლოა), ჯალაურთა, წასრი, მოძვი და ჩრნთო. ყველა აქ ჩამოთვლილ სოფლების მცხოვრებნი დიდად შეაწუხა წასულ წლის მოუსავლობამ და სწორედ დიდი შიმშილობაც გამოიარეს. ჩვენებურ კოდის სიმინდის ფასი ცამეტ აბაზამდის ავიდა, მაგრამ სასყიდლადაც ველარ შოულობდნენ. ამისთანა შევიწროვებულ დროს სულზე მოუსწრო ხალხს პურის მოსავალმა. აქეთ პურის კალოობა გათავდა; პურის მოსავალი საშუალო იყო, მაგრამ რაც მოვიდა, ისიც უვარგისია, რადგან ბევრი ღვარძლ-ჯელი ურევია. ჩვენი სოფლების ზოგიერთმა გულშემატკივრებმა (უმეტესად ვაჭრებმა) „შეიბრალეს" ხალხი, რომ ღვარძლიან პურის ჭამამ არ აწყინოთო და შეიძინეს პურის საწმენდი მანქანები. ამისთანა მანქან ყოველ სოფელში ორი-სამია. პურის გაწმენდა მართლაც ძალიან გააადვილეს და ამით, იმათის აზრით, დიდი სიკეთეც უყვეს ხალხს, მაგრამ ამ სიკეთისათვის თავის თავსაც ერთი ორად აჯილდოვებენ. იმისთანა სამინდოების (წისქვილის სამინდოს მსგავსია) აქვთ გამოზომილი, რომ დიდი ბარაქალა უნდა მანქანაში გატარებულ პურის მესამედი წამოიღოთ სახლში. ამ დალოცვილებს სხვაფრივადაც ორნაირი საწყაო აქვთ: ერთი უფრო მოზრდილი, რომლითაც თვითონ მიიწყავენ ხოლმე, მეორე კი უფრო მომცრო, რომლითაც მყიდველს მიუწყავენ ხოლმე. რა საკვირველი იქნება, რომ აწი მესამე საწყაო გაიჩინონ და ან გაწმენდილ პურის ასაღებ სამინდოს ცოტა წაუმატონ, რადგან ხმის გაცემას არავისაგან არ ელიან. ჩვენის საზოგადოები სოფლებს ერთად ერთი ორკლასიანი სამინისტრო სკოლა აქვთ, რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ მახლობლად მცხოვრებნი.

ვლ. მაჭარაშვილი

---

**სოფ. საჭილაო** (იმერეთი). ჩვენს საზოგადოებაში ერთ თვეში ორი სამწუხარო ამბავი მოხდა: აგვისტოს დამდეგ რიცხვებში გლეხმა ნ. ქანდარიამ მოჰკლა თავისი უფროსი ძმა ივანე, რომელსაც დარჩა უნუგეშოდ ცოლი და ხუთი წვრილ-შვილი. მკვლელობის მიზეზი უბრალო შურის ძიებაა. მკვლელი დააპატიმრეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თავდებობით გაანთავისუფლეს. მეორე მკვლელობა 1 სექტემბერს მოხდა. გლეხმა ბართლომე ჩიტიამ მოჰკლა დანით თავისი ცოლი დომნა. მკვლელობის მიზეზი, როგორც ამბობენ, ცოლის ცუდი ყოფაქცევაა. მკვლელი დააპატიმრეს. დარჩა ობლები.

აქაური

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 4 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მთავარ შტაბის განცხადება: „ნამესტნიკის შტაბის უფროსი შემდეგს აუწყებს მთავარ შტაბს: „მარშალის ოიამას ოფიციალური მოხსენება სასტიკ ბრძოლის შემდეგ ლიაოიანის ალების შესახებ ძალიან არის სიმართლეს დაშორებული იქ, სადაც ამბობს, იაპონელებმა სამხედრო სურსათი და ვაგონები წაართვეს რუსებსაო. ნამდვილად-კი ჩვენ დავტოვეთ ბრძოლის ველზე მოძრაობისათვის სრულიად გამოუსადეგარი ორი ძველი ვაგონი, რამდენიმე დამტვრეული ურემი და ცოტაოდენი ყუთი პატრონებით. ჩვენი რევოლვერის ყველასაგან ცნობილი ტყვია ოიამას დუმ-დუმის ტყვიად აქვს მოხსენებული".

**სან-ფრანცისკო,** 4 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). სატრანსპორტო გემი „ლენა" მოვიდა მერ-აილენდს, სადაც დაუყოვნებლივ აჰყრიან იარაღს.

**შანჰაი,** 3 სექტემბერი. აქ რამდენმამე კერძო კაცმა ამბავი მიიღო, ვითომ პორტ-არტურთან იაპონელთა ყველა აფიცერი მოუკლავთ.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა, მისს უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 3 სექტემბერს გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის მიერ: „დიდად გაახარა მთელი მანჯურიის არმია თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობის მაღალ-მოწყალე დაფასებამ იმის შრომისა და სამხედრო მოქმედებისა. ყველანი ალსავე ვართ ერთის სურვილით: ვაჯობოთ მტერსა და გავამართლოთ ნდობა ჩვენდამი რუსეთის არმიის უმაღლესს წინამძღოლისა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჯარი თავ-გამოდებით იმსახურებს მომავალშიაც. ლიაოიანიდან უკან დაწევა იმ პირობებში, რომელშიაც მოხდა, მართლა აუცილებელი იყო და მასთან შესანიშნავიც იყო საქმის სიძნელის გამო. თვით ჩვენი მტერი ამ ხანად არ აზვიადებს თავის გამარჯვებას: სრულებით არაფერს ამბობს ტყვეების წაყვანისა, ზარბაზნების და

სხვა დავლის წართმევის შესახებ. კუროკის ოფიციალური მოხსენება გვიმტკიცებს, რომ 22 აგვისტოს დილის კუროკის მთელი ჯარი, იაპონელთა უდიდესი არმია, უკვე ტაიძიხეს მაჯვენა ნაპირზე იყო და ადვილად შეძლო, გზა გაეჭრა ლიაოიანის დამცველ ჩვენი ჯარისთვის. ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას."

### 5 სექტემბერი

**ლონდონი.** 4 სექტემბერი („რეიტ. სააგენტო"). იაპონიის ელჩი ლონდონში ჰაიაში სთხოვს რეიტერის სააგენტოს, შეასწოროს ცნობა იმ საუბრის შესახებ, რომელიც „მატენ"-ში იყო დაბეჭდილი. ჰაიაშიმ სთქვა, ვერაფერს ვიტყვი ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობის შესახებ; შემიძლია მხოლოდ აღვიარო, რომ იაპონიამ უნდა იბრძოლოს იმ დრომდე, სანამ რუსეთი განაგრძობს ბრძოლასაო.

**პეკინი** („რეიტ. სააგ."). იტალიელ და ჩინელ ჯარის კაცთა შორის ჩხუბი მოხდა. იტალიელებმა ორჯერ ესროლეს თოფი ჩინელთა ჯარის სარდლის სახლს.

**ლონდონი,** 1 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). კუროკის ჯარის მთავარი სადგომი და იაპონელთა არმიის ფრონტი ამ ჟამად ლიაოიანიდან ჩრდილოეთითაა, მუკდენის შუა-გზაზე; ამათ წინ დგანან კუროპატკინის მიერ დაყენებული სადარაჯო რაზმები. ჰფიქრობენ, კუროპატკინი თავისი ჯარის მთავარ სადგომს ხარბინში გადაიტანსო. ორივე მებრძოლი, როგორცა სჩანს, კმაყოფილია ბრძოლის დროებით შეჩერებით, რადგან ლიაოიანის ბრძოლებმა იაპონელებიცა და რუსებიც ძალიან დაღალა.

**მუკდენი,** 4 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). როგორც იუწყებიან, იაპონელები წინ იწევიან აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან; ცხადი ნიშნებია იმისა, რომ მუკდენთან დიდი ბრძოლა მოხდება. რუსეთის ჯარს უჭირავს მუკდენის გარშემო ყველა სოფლები, საიდანაც ჩინელები ათასობით იხიზნებიან ქალაქში. ჩინელები იაპონელთა სისასტიკეს სჩივიან.

**პარიზი.** პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩილის პროვინციის სამხრეთ ნაწილში და ხუნანის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარი გაიგზავნა მოსალოდნელ უწესოების წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებათა მისაღებად. მოძრაობის მეთაურნი იმუქრებიან, პეკინ-ხანკოუს რკინის გზა უნდა გავაფუჭოთო.

**ვიგო.** („ჰავასის სააგ."). შტატს გარეშე მყოფმა რუსეთის აქაურმა ვიცე-კონსულმა, რომელიც ამავე დროს ინგლისის ვიცე-კონსულადაც იყო, რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს განკარგულებით საკონსულო საქმეები საფრანგეთის ვიცე-კონსულს გადასცა. ლისაბონიდან მოვიდა რუსეთის კრეისერის „ტერეკ"-ის უფროსი.

### 5 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს 4 სექტემბერს: „3 და 4 სექტემბერს მანჯურიის არმიაში შეტაკება არ მომხდარა. იაპონელები მთელ თავის ფრონტზე აძლიერებენ მოწინავე სადარაჯო რაზმებს, განსაკუთრებით-კი სოფელ ბიანიპუზასთან და რკინის გზის აღმოსავლეთით იანტაის მღვიმე-მაღაროების მხარეს".

### 4 სექტემბერი

**მადრინსკი,** 3 სექტემბერი. გაზაფხულს დაიწყებენ ურალზე რკინის გზის ჩრდილოეთის შტოს გაყვანას.

**ლონდონი.** („რეიტ. სააგ."). „ტაიმს"-ის კორესპონდენტი პეკინიდან ტელეგრაფით გადმოგვცემს ინგლის-ტიბეტის ხელ-შეკრულობის ტექსტს, რომელიც ჩინეთის მთავრობას მოუვიდა. ხელ-შეკრულობა შესდგება წინასიტყვაობისა და 10 მუხლისაგან. ხელ-შეკრულობის ძალით ტიბეტელები ვალდებულნი არიან დააარსონ ბაზარი იატუნგსა, გიანცზესა და ჰარტოკში ინგლისელების და ტიბეტელების სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად. ტიბეტი ვალდებულია, ნება მისცეს ინგლისს არსებულისა და მომავალის გზებით ზიდოს საქონელი. ტიბეტელებმა უნდა გადაიხადონ სამი წლის განმავლობაში შვიდი მილიონი და ხუთასი ათასი მანეთი კონტრიბუცია. ამ კონტრიბუციის გადახდის უზრუნველ-საყოფელად ინგლისი ჯარს დააყენებს ცამბის პროვინციაში და არ გამოიყვანს, სანამ კონტრიბუცია სრულიად არ იქნება გადახდილი. ტიბეტს ეკრძალება გაყიდვა ან იჯარით გადაცემა რომელსამე სხვა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ თავის ტერიტორიისა, თუ ინგლისი თანხმა არ გახდა. ამასთანავე ტიბეტში არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ უნდა მიეცეს ნება გზების, ტელეგრაფის გაყვანისა, მადნების შემუშავებისა და სხვა.

**მადრიდი.** 4 სექტემბერს მოვიდა კობურგის პრინცესსა ლუიზა.

**რომი,** 3 სექტემბერი. მეფემ ერთი მილიონი ლირა შესწირა მოხუც მუშების უზრუნველსაყოფელად.

**ბაქო,** 4 სექტემბერი. მოხდა კრება საგუბერნიო სასანიტარო კომისიისა, უმაღლესის ბრძანებით გამოგზავნილის გრაფის შუვალოვის თანადასწრებით. გრაფმა განაცხადა, რომ ბაქო კარგ სანიტარულ პირობებშიაო. ამასთანავე აღნიშნა ის პრაქტიკული ღონისძიებანი ხოლერის და შავი ჭირის წინააღმდეგ, რომელიც ადესსაში იყო მიღებული, იმის იქ გრადონაჩალნიკად ყოფნის დროს.

### 5 სექტემბერი

**მინსკი.** საგუბერნიო საერობო კომიტეტმა ნახევარ მილიონ მანეთამდე გადასდო გუბერნიაში საქმით დახმარების მოსაწყობად. ამასთანავე დაადგინა, გახსნას სხებით საფერშლო ქალთა სკოლა.

**სტამბოლი,** 3 სექტემბერი („კორრ. ბიურო"). რამდენიმე მძლიერი ალბანელი ბეგი ხელს უშლის ოსმალეთის მთავრობის კომისიას, რომელიც ალბანიაში ავაზაკობის მოსასპობლად მოქმედებს. ამიტომ ამ ბეგების დასასჯელად ჯარი გაიგზავნა.—მონასტირის ვილაიეტში გაჩნდა ბერძენ მეამბოხეთა ბრბო, რომელიც, როგორც ამბობენ, 36 კაცისაგან შესდგება. ოსმალეთის წრეები ამბობენ, რომ ეს ბერძენთა პირველი ბრბოა, რომელსაც პოლიტიკური მიზანი აქვს სახეში და არა ავაზაკობაო.—ალბანელთა მოძრაობის მოსასპობად გაიგზავნა ერთი კორპუსი და ორი ბრიგადა; თითო ბრიგადა 5 ბატალიონისაგან შესდგება. ეს ჯარი მიტროვიცსა და პრიზრენში მიდის. როგორც სჩანს, ილდიზ-კიოსკში თან-და-თან ძლიერდება ალბანელთა გავლენა. ალბანელები სცდილობენ, სულთანს პრიზრენიდან ჯარი დააბრუნებინონ.

**ნოვოჩერკასკი.** მოვიდა იუსტიციის მინისტრი ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატის გასახსნელად.

**სტამბოლი.** (კორრ. ბიურო). მესამე კორპუსის ოლქიდან ამ დღეებში უკანვე დააბრუნეს მცირე აზიის ბატალიონები; სამი ვილაიეტი, სადაც ეხლა რეფორმები შემოაქვთ და საიდანაც ჯარების გაყვანა თავდება, ამიერიდან სრულიად განთავისუფლდებიან მეტად მძიმე სამხედრო ხარჯებისაგან; ამიტომ მალე შესაძლებელი შეიქნება ამ ვილაიეტების ბიუჯეტის განწესრიგება მურცშტეგის პროგრამის თანახმად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა, 3 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 93,90 | |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | | |
| პარიზისაზე 100 ფრანკში | | |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,60 | |
| ბერლინისაზე „ | 46,30 | |
| პარიზისაზე „ | 37,47$^1/_2$ | |
| ბირჟის დისკონტი | 6-7$^1/_2$% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 | გაყ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — | |
| 4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ. | — | |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 88$^3/_4$ | „ |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 388 | „ |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 305 | „ |
| 5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 256$^3/_4$ | „ |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — | |
| 4$^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად. | — | |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — | |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | 89 | |
| 4/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. | — | |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87 | |
| ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 208 | „ |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს:** 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. [illegible]4 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერივანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერივან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**შორაპნამდე:** № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადებანი

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი კოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—89)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.
კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში.
დაარსებულს 1860 წელს
რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვას „С.-Петербургъ" წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია), ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნეიშელლერი"
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკსა, ტაშკენტში. და ტფილისს
(60—26)

Дозв. цензурою 5 сентября 1904 г. ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა." Электрон. „Груз. Изд. Т—ва".